ქრისტე აღსდგა! ჭეშმარიტად აღსდგა!

ხაშურის მოამბე

№13 (295) 2 მაისი, კვირა, 2021 წელი

აღდგომა სახეა სიცოცხლისა

აღდგომა, მოძრავი დღესასწაულია, რომელიც აღინიშნება ახალი სტილით 4 აპრილსა და 8 მაისს შორის. ნიკეის პირველმა მსოფლიო საეკლესიო კრებამ 325 წელს დაადგინა ზეიმის აღნიშვნა გაზაფხულის ბუნიობის მომდევნო კვირას, იუდეველთა პასექის დასასრულს, უთუოდ მისგან განცალკევებით და კვირის ბოლოს.

ქრისტიანთათვის აღდგომა უდიდესი დღესასწაულია, რადგან იესო ქრისტემ ჯვარცმითა და შემდეგ აღდგომით კაცობრიობას ჩაუსახა რწმენა სულის უკვდავებისა, საუკუნო ცხოვრებისა. ქრისტეს აღდგომა ძველის - ახლით, ბნელის - ნათელით, სიკვდილისა - სიცოცხლით შეცვლას ნიშნავს.

წმ. იოანე ოქროპირი ასე განმარტავს ამ უდიდესი დღესასწაულის მნიშვნელობას:

„დღეს აღესრულა, საყვარელნო, რაც მრავალი საუკუნის წინ თქვა დავით წინასწარმეტყველმა: „მწუხრი იყვნენ ტირილით და ცისკარს სიხარულით“. რამეთუ მწუხარება, რომელმაც მოიცვა მოციქულნი უფლის ჯვარცმისას, მისი აღდგომის სიხარულით შეიცვალა; ხოლო ქრისტეს ჯვარმცმელების სიხარული ცისკარზე უფლის აღდგომით მათ სირცხვილად გადაექცათ.“

ასევე თითოეული მორწმუნე ქრისტიანი ხვდება აღდგომას სიხარულით.

„ქრისტიანობამ იცის, რისთვის აქებს და ადიდებს ამ დღეს: მკვდრეთით აღდგა ქრისტე და აღადგინა თავისი კაცთა მხსნელი მოძღვრება, თავისი ახალი ცხოვრების მომნიჭებელი აღთქმა... დიდმა მოძღვრებამ ყოვლად მაცხოვარ სიყვარულისა გაჰფანტა ბნელი, გაადნო ყინული ძველის უწყალობისა და მოჰფინა იგი ნათელი და სითბო წყალობისა, ურომლისოდაც ქვეყნიერებაზედ არაფერი არ ხეირობს, არაფერი არ მოდის, არ იზრდება, არ ყვავის, არ ცოცხლობს. გაიყარა ძველი და ახალი, ბნელი და ნათელი, სიკვდილი და სიცოცხლე და მოგვანიჭა ცხოვრება იმიტომ, რომ მკვდარი იყო სული ჩვენი და ქრისტემ აღადგინა მკვდრეთით... თუ ზამთარი სახეა სიბერისა, მიძინებისა, სიკვდილისა, გაზაფხული სახეა ახლობლისა, აღდგომა - სიცოცხლისა.“

აღდგომა გამორჩეულია მის აღნიშვნასთან დაკავშირებული საერო სიმბოლოებითაც, როგორიცაა წითელი კვერცხი, “არტოსი”, პასკა.

წითელი კვერცხი

სააღდგომოდ, ჩვენ ყველანი, წითლად ვღებავთ კვერცხებს და ერთმანეთს ვუცვლით ამ სიტყვებით: “ქრისტე აღსდგა”. ეს ჩვეულება ძალიან ძველია. არის გადმოცემა, რომ ამაღლებამდე იესო ქრისტემ თავისი მოწაფეები სხვადასხვა ადგილებში დაგზავნა, რათა ადამიანებისთვის მისი აღდგომის შესახებ ეხარებინათ. საქადაგებლად გაეშურა მარიამ მაგდალინელიც, რომლისგანაც მაცხოვარმა შვიდი ეშმაკი განდევნა და რომელმაც ღვთისმშობლის შემდეგ პირველმა იხილა მკვდრეთით აღმდგარი უფალი. წმიდა მარიამი რომში ჩავიდა და პირდაპირ იმპერატორის სასახლეს მიაშურა. იგი ცნობილი პიროვნება იყო და ამიტომ დაუბრკოლებლად გაატარეს სასახლეში. მან იმპერატორ ტიბერიუსს საჩუქრად კვერცხი გაუწოდა და ახარა: “ქრისტე აღსდგა”. იმპერატორმა ქალს ეჭვით შეხედა და წამოიძახა: “როგორ შეეძლო მკვდარს აღმდგარიყო?! ეს ისევე დაუჯერებელია, როგორც ის, რომ ახლა ეს კვერცხი გაწითლდესო”. სიტყვები ჯერ არ ჰქონდა დამთავრებული, რომ კვერცხი მართლაც გაწითლდა. ამ დღიდან მოყოლებული ქრისტიანები წითელი კვერცხებით ეგებებიან აღდგომის ბრწყინვალე დღესასწაულს.

საერთოდ, კვერცხი მარდიული სიცოცხლის სიმბოლოა, რადგან მისგან ცოცხალი არსება იბადება, იესო ქრისტემ კი სიცოცხლე მოგვანიჭა. წითელ ფერში სისხლი მოიაზრება, რადგან იესო ქრისტემ თავისი სისხლით სიცოცხლე განწმიდა და აკურთხა.

გილოცავთ აღდგომის ბრწყინვალე დღესასწაულს!

დღეს წმინდა სამოციქულო მართლმადიდებელი ეკლესია, ქრისტიანული სამყაროს უმთავრეს დღესასწაულს ზეიმობს. როგორც დიდი ვაჟა-ფშაველა წერს: „არ იწამეს, მოჰკლეს, ჰგვემეს, სტანჯეს, ჯვარს აცვეს, მაგრამ ჯვარზედაც თავის მტრებისთვის ლოცულობდა, ევედრებოდა მამა ღმერთსა, რომ მიეტევებინა ცოდვა უგუნურთათვის: „რამეთუ არა იციან, რას იქმანო“. იესომ ქვეყანა არ მოიძულა, მას არ გადაემტერა.“

ქრისტიანულ რელიგიაში აღდგომა ყველაზე დიდი დღესასწაულია და ის თორმეტი დღესასწაულის მწვერვალია. საქართველოს ყველა ეკლესიაში საზეიმო წირვა–ლოცვა აღევლინება, ქრისტიანები ერთმანეთს სიცოცხლის სიკვდილზე გამარჯვების დღეს ულოცავენ სიტყვებით „ქრისტე აღსდგა! ჭეშმარიტად აღსდგა!“ ამ დღეს ყველა ქრისტიანის ოჯახში სადღესასწაულო სუფრა იშლება და ყველა სახლის კარი ღიაა სტუმრისთვის. ვისურვებდი, ეს დღე იყოს ახალი, კეთილშობილური საქმეების, გამარჯვებისა და მიღწევების დასაწყისი.

ღრმა პატივისცემას გამოვუხატავ სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქს, ილია II-ს და მისი სიტყვებით მოგილოცავთ: „ამ დღეს ათასეულობით წელი ელოდა კაცობრიობა. ჩვენ ბედნიერნი ვართ, რომ გვაქვს შესაძლებლობა, მაცხოვრის მსხვერპლშეწირული სიყვარულის წყალობით, თანაზიარნი გავხდეთ მარადიული ნეტარებისა, რომელიც აღდგომის მადლით მოგვენიჭა. გილოცავთ ამ ზეიმთა ზეიმს, გისურვებთ ჯანმრთელობასა და შემდგომ წარმატებებს თქვენს მაღალ და საპასუხისმგებლო საქმიანობაში ღვთის სადიდებლად და ჩვენი სამშობლოს საკეთილდღეოდ. იხარეთ ორსავ სოფელს შინა“.

მინდა ეს უდიდესი დღესასწაული მივულოცო საქართველოს სამოციქულო მართლმადიდებლური ეკლესიის მრევლს, ყველა ქრისტიანს, ვუსურვო აღდგომის სიხარულით აღსავსე ცხოვრება და ბედნიერება!

სიყვარულით და პატივისცემით,
ზაალ დუგლაძე,
ხაშურის და ქარელის მუნიციპალიტეტებისა და გორის მუნიციპალიტეტის სოფლების მაჟორიტარი დეპუტატი

უფალი იყოს თქვენი და თქვენი ოჯახების მფარველი!

ქრისტეს ბრწყინვალე აღდგომა უდიდესი საუფლო დღესასწაულია. სიცოცხლის სიკვდილზე გამარჯვების დღესასწაული. დღე, რომელიც ყველა ქრისტიანისთვის დიდი სიხარულისა და იმედის მომტანია. უფალი იყოს თქვენი და თქვენი ოჯახების მფარველი.

გისურვებთ სიკეთეს, ჯანმრთელობას და სულიერ სიძლიერეს!

ქრისტე აღსდგა!

ზვიად ქურდაძე,
ხაშურის მუნიციპალიტეტის მერის მოვალეობის შემსრულებელი

გისურვებთ ჯანმრთელობას, კეთილდღეობას, სულიერ სიძლიერეს!

ქრისტე აღსდგა! ჭეშმარიტად აღსდგა! ჩვენო თანამოქალაქენო, გილოცავთ მართლმადიდებლური სამყაროს უდიდეს საუფლო დღესასწაულს, ბრწყინვალე აღდგომას! დღესასწაულს, რომელიც არის სიკვდილზე სიცოცხლის გამარჯვების სიმბოლო და რომელსაც ყოველწლიურად დიდი სიხარულით და იმედით ვეგებებით მართლმადიდებლები. რწმენით, ურთიერთსიყვარულით, შევხვდეთ ბრწყინვალე დღესასწაულს! გისურვებთ ჯანმრთელობას, კეთილდღეობას, სულიერ სიძლიერეს!

მიხეილ ჯანაშვილი, ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე

ეს ვაქცინები არ იწვევს ფერტილობას, არ შეიცავს ღეროვან უჯრედებს, ჩიპებს და სათვალთვალო მოწყობილობებს - მეცნიერები ანტივაქსერების მითებს პასუხობენ

კორონავირუსის საწინააღმდეგო ვაქცინების ავტორიზაციისა და მასობრივი ვაქცინაციის დაწყებისთანავე გააქტიურდნენ ანტივაქსერული ძალები, რომლებიც უამრავ მითს ავრცელებენ ვაქცინების მავნეობის შესახებ.

გთავაზობთ მედიცინის დოქტორის, ჯანდაცვის მაგისტრის, ინფექციათა პროფილაქტიკის მიმართულების დირექტორის - ლიზა მარაგაკისისა და ჯონ ჰოპკინსის უნივერსიტეტის კრიტიკულ მდგომარეობათა სამმართველოს დირექტორის - გაბორ კელენის პასუხებს ამ მითებზე.

ეს მეცნიერები აშშ-ს წარმოადგენენ და ამდენად, ძირითადად, ამერიკაში წარმოებულ ვაქცინებზე საუბრობენ.

გთავაზობთ გავრცელებულ მითებს და მეცნიერთა პასუხებს:

მითი 1
ვაქცინა იწვევს ფერტილობას ქალებში.
სიმართლე:

კოვიდ-19-ის ვაქცინა გავლენას არ ახდენს ფერტილობაზე. სინამდვილეში ვაქცინა კორონავირუსის ცილის მსგავსი ცილების წარმოქმნისაკენ

უბიძგებს ორგანიზმს, ეს კი იმუნურ სისტემას ასწავლის ბრძოლას ვირუსთან, რომელიც ამ სპეციფიკურ ცილას შეიცავს.

ასეთი მითის გავრცელებას ხელი შეუწყო სოციალურ ქსელში გაჩენილმა მცდარმა ინფორმაციამ იმის შესახებ, რომ კორონავირუსის გვირგვინის ცილა ისეთივეა, როგორიც არის ცილა სინციტინ-1, რომელიც ორსულობისას პლაცენტის მიმაგრებასა და განვითარებაში მონაწილეობს. ნათქვამი იყო, რომ კოვიდ-19-ის ვაქცინა აიძულებს ორგანიზმს, ებრძოლოს სინციტინ-1-საც, ეს კი ქალებში ფერტილობას გამოიწვევს.

სინამდვილეში ეს 2 ცილა სრულიად განსხვავებულია ერთმანეთისგან და ვაქცინაცია არავითარ გავლენას არ ახდენს ქალის ფერტილობაზე, არც ბუნებრივი და არც ხელოვნური განაყოფიერების დროს. ფაიზერის ვაქცინის გამოცდის პროცესში მონაწილე 23 მოხალისე ქალი ვაქცინაციის შემდეგ უკვე დაორსულდა და მათგან მხოლოდ იმ ერთის შემთხვევაში შეწყდა ორსულობა, რომელსაც ვაქცინა კი არა, პლაცებო გაუკეთდა.

მეორეს მხრივ, თავად კოვიდ 19-ით გამოწვეულმა ინფექციამ კი შეიძლება გამოიწვიოს ორსულობის მძიმე მიმდინარეობა და დედის ჯანმრთელობასთან დაკავშირებული პრობლემები.

მითი 2
თუ უკვე გადავიტანე კოვიდ - 19, აცრა აღარ მჭირდება
სიმართლე:

ადამიანები, რომელთაც გადაიტანეს კორონავირუსული ინფექცია, მაინც საჭიროებენ ვაქცინაციას, რათა თავიდან აიცილონ კოვიდ-19-თან დაკავშირებული სერიოზული რისკები და ასევე იმის გამოც, რომ მოსალოდნელია განმეორებითი ინფიცირება.

ამ დროისთვის არ არის საკმარისი ინფორმაცია იმის შესახებ, რამდენად მყარი შეიძლება იყოს კოვიდგადატანილთა ბუნებრივი იმუნიტეტი. ადრეული გამოკვლევები მოწმობს, რომ ბუნებრივი იმუნიტეტი ხანმოკლეა, თუმცა ჯერ კიდევ ტარდება კვლევები ამ საკითხზე.

ადამიანთა გარკვეული რაოდენობა, რომელთაც გადაიტანეს კორონავირუსი, უკვე აიცრა ფაიზერის ვაქცინით და მათ არავითარი პრობლემა არ შექმნიათ. მეცნიერები თვლიან, რომ ვაქცინა უკეთ დაიცავს ორგანიზმს, ვიდრე ბუნებრივი იმუნიტეტი.

მითი 3:
ვინაიდან ვაქცინები დაჩქარებულ ეჟიმში შეიქმნა, არ შეიძლება ვენდოთ მათ ხარისხსა და უსაფრთხოებას.
სიმართლე:

კვლევებმა აჩვენა, რომ ფაიზერისა და მოდერნას ვაქცინების ეფეტიანობა 95%-მდეა და არავითარი სერიოზული, სიცოცხლისთვის საშიში გვერდითი ეფექტი არ აღინიშნა. არსებობს მრავალი მიზეზი იმისა, თუ რატომ შეიქმნა ვაქცინები დაჩქარებულ რეჟიმში.

ფაიზერისა და მოდერნას ვაქცინები შექმნილია მეთოდით, რომელიც უკვე წლებია მუშავდებოდა და სწორედ ამიტომ ვაქცინის შემქმნელმა კომპანიებმა ვაცქინაზე მუშაობის დაწყება პანდემიის ადრეულ სტადიაზე შეძლეს.

ჩინეთმა ოპერატიულად გამოყო კოვიდ-19-ის გენეტიკური მასალა და მიაწოდა ის მეცნიერებს ვაქცინაზე მუშაობის დასაწყებად.

ვაცქინის შემქმნელებს არ გამოუტოვებიათ ტესტირების არცერთი ეტაპი, თუმცა ზოგიერთი მათგანი პარალელურ რეჟიმში მიმდინარეობდა, რათა დროულად შეეგროვებინათ მონაცემები.

ვაქცინის შემქმნელებს ჰქონდათ დიდი რესურსი, რადგან მთავრობებმა დააფინანსეს მკვლევარები და წინასწარვე გადაიხადეს ვაქცინის საფასური.

ზოგიერთი ვაცქინა შექმნილია რნმ ტექნოლოგიით, რაც უფრო სწრაფი მიდგომის საშუალებას იძლევა, ვიდრე ტრადიციული მეთოდით წარმოებული ვაცქინები.

სოციალური ქსელები დაეხმარა კომპანიებს, დროულად ეპოვნათ და მოეგროვებინათ კვლევებში მონაწილეობის მსურველი მოხალისეები. ბევრი ადამიანი მზად იყო, დახმარებოდა ამ ვაცქინების შექმნისთვის საჭირო კვლევებს.

რადგან კოვიდ-19 ფართოდ გავრცელებული და ადვილად გადამდები ინფექციაა, არ იყო საჭირო დიდი დრო იმაზე დაკვირებისთვის, იმოქმედა თუ არა ვაცქინამ მოხალისეებზე.

კომპანიებმა დაიწყეს ვაცქინების წარმოება ადრეულ ეტაპზე - -ს ნებართვის მიღებამდეც კი - ამიტომ ზოგიერთი შეკვეთა უკვე მზად იყო იმ დროისთვის, როცა ნებართვა გაიცა.

მითი 4
ვაქცინირებულს აღარ სჭირდება პირბადის ტარება
სიმართლე:

სინამდვილეში, ვაცქინირებულმა პირებმა ისევ ისე უნდა ატარონ პირბადე და დაიცვან სიფრთხილის ზომები ინფექციის თავიდან ასაცილებლად. ვაცქინა არ იცავს თქვენს ორგანიზმს ვირუსის ორგანიზმში მოხვედრისაგან. ის მხოლოდ დაავადების საშუალო სიმძიმის და მძიმე მიმდინარეობისგან გიცავთ.

ჯერჯერობით უცნობია, ვაცქინირებული ადამიანი დაინფიცირების შემთხვევაში იქნება თუ არა ვირუსის გადამტანი, თუნდაც ის არ იყოს ავად.

მითი 5
კოვიდ-ვაქცინის გაკეთების შემდეგ, შეიძლება დაგვემართოს კოვიდ-ინფექცია.
სიმართლე:

კოვიდ-ვაქცინას არ შეუძლია თქვენი დაინფიცირება. რნმ ვაცქინები თქვენს ორგანიზმში მხოლოდ ვორუსის ცილის წარმოქმნის ინსტრუქტირებას ახდენენ. ეს ცილა კი სარს-კოვ-2 ვირუსის მცირე ფრაგმენტია, ამიტომ თქვენ ვერ დაინფიცირდებით ვაცქინის გაკეთებისას. ცილა, რომელიც ეხმარება ორგანიზმს, ამოიცნოს ვირუსი და ებრძოლოს მას, არ იწვევს არავითარ ინფექციას.

მითი 6:
ვაცქინის გვერდითი ეფექტები საშიშია.
სიმართლე:

13 აპრილს CDC-m და FDA-მ გასცეს რეკომენდაცია J&J ვაქცინის გამოყენებაზე. Johns Hopkins Medicine დროებით აჩერებს ამ ვაქცინის გამოყენებას, ვიდრე მას CDC და FDA არ განიხილავს.

რაც შეეხება მოდერნას და ფაიზერს, მათ შეიძლება ჰქონდეს გვერდითი ეფექტები, მაგრამ აბსოლუტურ უმრავლესობაში ეს ეფექტები ხანმოკლეა, არ არის სერიოზული და საშიში. ვაქცინის შემქმნელები იტყობინებიან, რომ ზოგიერთ ვაცქინირებულს აღენიშნება ტკივილი ინექციის ადგილას, ტკივილი სხეულში, თავის ტკივილი, ცხელება, რომელიც 1-2 დღე გრძელდება. ეს იმის ნიშანია, რომ ვაცქინა ასტიმულირებს თქვენს იმუნიტეტს. თუ სიმპტომები 2 დღეზე მეტხანს გაგრძელდება, უნდა აცნობოთ ექიმს.

თუ ალერგია გაქვთ, განსაკუთრებით, მძიმე ფორმის ალერგია, გჭირდებათ ხოლმე ეპინეფრინის გამოყენება, მაშინ ვაცქინაციის საკითხი განიხილეთ თქვენს ექიმთან.

მითი 7:
ვაქცინა შედის ჩვენს უჯრედებში და შეცვლის ჩვენს დნმ-ს.
სიმართლე:

ფაიზერის და მოდერნას ვაქცინების ინფორმაციული რნმ შედის უჯრედებში, მაგრამ არა მის ბირთვში, სადაც დნმ-ია მოთავსებული. რნმ ასრულებს თავის სამუშაოს, აიძულებს უჯრედს, წარმოქმნას ცილა იმუნური სისტემის გასააქტიურებლად, შემდეგ კი მალევე იშლება. ისე, რომ არ ეხება თქვენს დნმ-ს.

მითი 8:
ვაცქინის დასამზადებლად გამოყენებული რნმ-ტექნოლოგია სრულიად ახალია.
სიმართლე:

რნმ-ტექნოლოგია თითქმის 2 ათეული წელია მუშავდება. ვაცქინის მწარმოებლებმა შექმნეს ტექნოლოგია, რომელიც ახალი პანდემიების შემთხვევაში სწრაფი რეაგირების შესაძლებლობას იძლევა.

მითი 9
კოვიდ-19 ვაცქინა შემუშავდა და დამზადდა სადავო ნივთიერებების გამოყენებით ან შეიცავს კიდეც მათ.
სიმართლე:

ფაიზერისა და მოდერნას ვაცქინები შეიცავს რნმ-ს და ვაცქინის სხვა ნორმალურ ინგრედიენტებს, როგორიცაა ცხიმები (რომლებიც იცავს რნმ-ს), მარილები და მცირე რაოდენობით შაქარი. ეს ვაცქინები არ დამზადებულა ნაყოფის ქსოვილების გამოყენებით და არც იმპლანტებს, მიკროჩიპებს ან სათვალთვალო მოწყობილობებს შეიცავს.

3-12 მაისის ჩათვლით, მუნიციპალური ტრანსპორტი არ იმოძრავებს - სადღესასწაულო დღეებში სასაფლაოებზე გასვლა შეიზღუდება

3-12 მაისის ჩათვლით,საქართველოს მასშტაბით,მუნიციპალური ტრანსპორტი არ იმოძრავებს; სადღესასწაულო დღეებში კი სასაფლაოებზე გასვლა შეიზღუდება, - აღნიშნული გადაწყვეტილებები უწყებათაშორისმა საკოორდინაციო საბჭომ მიიღო, რომელიც პრემიერ-მინისტრ ირაკლი ღარიბაშვილის ხელმძღვანელობით, მთავრობის ადმინისტრაციაში გაიმართა.

საბჭომ განიხილა ინფიცირების შემთხვევების ზრდის დინამიკა, როგორც მთელს მსოფლიოში, ისე - საქართველოში. აღინიშნა, რომ ინფიცირების შემთხვევებთან ერთად, მზარდია ჰოსპიტალიზაციის მაჩვენებელი.

აქედან გამომდინარე, პრემიერ-მინისტრის დავალებით, ჯანდაცვის სამინისტრომ შეიმუშავა გეგმა, როგორც დამატებითი საწოლფონდის მობილიზების, ისე მედიკამენტების, ჟანგბადის თუ ტესტების მარაგების მართვის კუთხით და აღინიშნა, რომ ყველაზე ცუდი სცენარისთვისაც კი სისტემა მზად არის, ვითარება კონტროლს ექვემდებარება და მთავრობა სრულად მართავს პროცესს.

უწყებათაშორისი საკოორდინაციო საბჭოს გადაწყვეტილებით, არსებული ეპიდვითარების გათვალისწინებით, მთავრობის დადგენილებით განსაზღვრული ჯგუფების ტესტირება, მაისის განმავლობაშიც სახელმწიფო დაფინანსებით გაგრძელდება;

1 მაისს ე.წ. "კომენდანტის საათი" 23:00 საათიდან 04:00 საათამდე იმოქმედებს

რაც შეეხება მოახლოებულ აღდგომის დღესასწაულს, საქართველოს საპატრიარქოსთან კომუნიკაციის შედეგად, სადღესასწაულო ლიტურგია ტაძრებში ეპიდემიოლოგიური უსაფრთხოების ნორმების მაქსიმალური დაცვით ჩატარდება;

მათ შორის, ტაძრებში უზრუნველყოფილი იქნება გახმოვანების სისტემა, დაცული იქნება სოციალური დისტანცია და პირბადის მოხმარების წესი;

ამასთან, გამონაკლისის სახით, საღამოს ლიტურგიასთან დაკავშირებით, გადაადგილებაზე დაწესებული შეზღუდვა, მხოლოდ ერთი ღამით, იმოქმედებს 1 მაისის 23:00 საათიდან 2 მაისის 04:00 საათამდე;

უწყებათაშორისი საკოორდინაციო საბჭოს გადაწყვეტილებით, სადღესასწაულო დღეებში სასაფლაოებზე გასვლა შეიზღუდება; ჩაიკეტება სასაფლაოებთან მისასვლელი გზები;

როგორც ცნობილია,4-11 მაისი საქართველოში გამოცხადებულია უქმე დღეებად, რაც მობილობის შემცირებას ისახავს მიზნად. საკოორდინაციო საბჭოს გადაწყვეტილებით, 3-დან 12 მაისის ჩათვლით, შეიზღუდება მუნიციპალური ტრანსპორტის მოძრაობა; პარალელურად, ვაქცინაციის ეროვნული გეგმის შესაბამისად, აქტიურად გაგრძელდება ვაქცინაციის პროცესი. იმუნიზაციის მსოფლიო კვირეულთან დაკავშირებით, მიმდინარე კვირიდან ვაქცინაციის პროცესში ჩაერთვებიან საქართველოს მთავრობისა და პარლამენტის წევრები; შესაბამისი უწყებების მხრიდან კვლავ გრძელდება ქვეყანაში დაწესებული შეზღუდვების აღსრულების მკაცრი კონტროლი; უწყებათაშორისი საკოორდინაციო საბჭო განაგრძობს არსებულ ეპიდემიოლოგიურ ტენდენციებზე დაკვირვებას და შემდგომ გადაწყვეტილებებს ვითარების დეტალური ანალიზის შედეგად მიიღებს.საქართველოში კორონავირუსის პირველი შემთხვევის გამოვლენიდან დღემდე, ვირუსით ინფიცირების 304 272 ლაბორატორიულად დადასტურებული შემთხვევა გამოვლინდა, საიდანაც 287 029 პირი გამოჯანმრთელდა, გარდაცვლილია 4 043 ადამიანი. ამ ეტაპზე კარანტინში იმყოფება 227 ადამიანი, კლინიკურ სასტუმროებში - 727 მოქალაქე, ხოლო სტაციონარში, მეთვალყურეობის ქვეშ - 3676 პირი. პრემიერ-მინისტრის ხელმძღვანელობით მოქმედი უწყებათაშორისი საკოორდინაციო საბჭოს მუშაობაში აქტიურად მონაწილეობენ საქართველოს პარლამენტი და პრეზიდენტის ადმინისტრაცია.

რა ეტაპზეა რიკოთის საუღელტეხილო გზაზე სამშენებლო სამუშაოები აპრილის ბოლოსთვის

რიკოთის საუღელტეხილო გზაზე ხიდებისა და გვირაბების მშენებლობა აქტიურად გრძელდება. საავტომობილო გზების დეპარტამენტის ინფორმაციით, ამ დროისთვის, სამშენებლო სამუშაო რიკოთის საუღელტეხილო გზის ჩუმათელეთი-ხევის 11.6 კმ-იან, ხევი-უბისას 12.2 კმ-იან, უბისა-შორაპანის 13 კმ-იან და შორაპანი-არგვეთას 14.7 მონაკვეთებზე მიმდინარეობს.

მათი ინფორმაციით, შორაპანი-არგვეთას გზის მშენებლობა წელს დაიწყო.

„ზოგადად, 2021 წელი, რიკოთის გზის მშენებლობაში გარდამტეხი

იქნება პროგრესის კუთხით. ამ ეტაპზე, სამშენებლო სამუშაო, ჯამში 62 ხიდსა და 39 გვირაბზე პარალელურად მიმდინარეობს. აქედან, 6 გვირაბი უკვე გაჭრილია. სამუშაო, ასევე, მიმდინარეობს რიკოთის არსებული საუღელეტეხილო გვირაბის პარალელურ გვირაბზე, რომელიც პირველ, ჩუმათელეთი-ხევის მონაკვეთზე მდებარეობს.

რიკოთზე, საერთო ჯამში, დაგეგმილია 51.6 კმ-მდე სიგრძის გზის მშენებლობა, რომელიც 96 ხიდსა და 53 გვირაბს მოიცავს. რიკოთის საუღელტეხილო გზის მშენებლობის დასრულება დაგეგმილია 2023 წლისთვის.

რიკოთის საუღელტეხილო მონაკვეთის მშენებლობა საუკუნის პროექტია, რომელიც ურთულეს გეოლოგიურ და გეოგრაფიულ მარშრუტზე, რთული საინჟინრო კონსტრუქციებით ხორციელდება“ ,- აღნიშნულია საავტომობილო გზების დეპარტამენტის მიერ გავრცელებულ ინფორმაციაში.

ხაშურის ისტორიისათვის (1693-2020 წწ)

(გაგრძელება. დასაწყისი იხ. „ხმ“ #21,22,23,24,25,26,27,28,29 2020 წ. 2021 წ.#1,2,3,4,5,6,7,8,9,10,11,12)

სახარების მე-17 გვერდის ქვემო აშიაზე ვკითხულობთ: „ქ. ღმერთო, ცოდვილს ანუკას მოხედე მოწყალებითა შენითა”.

ხელნაწერს ახლავს ანუკა ბატონიშვილის (ვახუშტი აბაშიძის მეუღლის –თ.ლ.) რამდენიმე მინაწერი. მათ შორის არის ერთი ლექსად დაწერილი მინაწერიც:

„ფრიად ცოდვილმან ანუკამ დავწერე ესე ლექსია.
ჩემთვის შენდობას ბრძანებდეთ, ვისაც გწამთო ქრისტე მესია.
მცოდნენო, თავსა არ გისწრობთ, ხართ ჩემგან უკეთესია,
და დავწერე შენდობის თხოვნა, მოცემაც დანაწესია”.

ერთ-ერთ ფურცელზე მხედრულად, ლამაზი ხელით, მიწერილია:

„ნეტავი იმ კაცთა, ვინც ამის წერის დროს ყოფილან!”

როგორც ნიკოლოზ მთავარდიაკვნის მინაწერი ანდერძიდან დავინახეთ, ვახუშტი აბაშიძეს პარხლის ოთხთავი ხახულის ღვთისმშობლის სახელზე დაუდია ბულბულისციხეში, პატარა საყდარში.

ამ მინაწერიდან ჩვენს ყურადღებას იქცევს ის ფაქტი, რომ სოფელ ბულბულისციხის ციხეში არსებობს პატარა საყდარი.

ე. თაყაიშვილი აღნიშნავს, რომ „ბულბულისციხე მდებარეობს სოფელ ქვიშხეთის მახლობლათ... ციხე და პატარა ეკლესიის ნანგრევები აქამომდე დაცულნი არიან, და იმ ადგილს ეხლაც ბულბულის ციხეს ეძახიან”.

ის რაც ე. თაყაიშვილის დროს ბულბულის ციხეში „პატარა ეკლესიის ნანგრევების“ სახით იყო შემორჩენილი, დღეს აღარ არის. როგორც ჩანს, ჟამთა სვლამ თავისი გაიტანა. ბულბულისციხის ჩრდილო-დასავლეთით, ფერდობზე, ადგილ ხატი მიწებზე, მდებარეობს ეკლესია, რომელსაც მოსახლეობა ტაუსის წმ. გიორგის ეძახის. მის გარშემო სასაფლაოა მოწყობილი. ეკლესია მთლიანად, საძირკვლამდე დანგრეულია. XX საუკუნის 80-იან წლებში აქ, ძველ საძირკველზე სამშენებლო ბლოკით აუგიათ მცირე ზომის დღევანდელი ეკლესია. ის, რაც სიძველისგან შემორჩენილია მხოლოდ გეგმის წაკითხვას ხდის შესაძლებელს. იგი სწორკუთხა დარბაზული ტიპის ნაგებობა ყოფილა (9,4ხ6,4) აღმოსავლეთით ნახევარწრიული აფსიდით. ნაგები ყოფილა კლდის ქვით. რაც შეეხება ციხეს, იგი დღესაც დგას, მაგრამ ისიც იმასთან შედარებით, ალბათ, ძლიერ დაზიანებულია, ვიდრე ეს ე. თაყაიშვილის დროს იქნებოდა.

შემდგომში, ეს ხელნაწერი, როგორც ირკვევა, ისევ აბაშიძეების ოჯახში ინახებოდა. ცნობილია ის ფაქტი, რომ, XVIII ს-ის მთელ მანძილზე, ბულბულისციხემ, საერთოდ ქვიშხეთის მხარემ არაერთხელ განიცადა ლეკთა მხრიდან შემოსევები. ლეკებმა ბულბულისციხეც აიკლეს. ალბათ, ხელნაწერის უკეთ დაცვის მიზნით იყო გამოწვეული, რომ იგი კვლავ აბაშიძეების ხელთაა. XIXს. 50-იან წლებისათვის იგი უკვე ქ. გორში ივანე აბაშიძის ოჯახში ინახებოდა. ივანე აბაშიძისა და შემდეგ, მისი მეუღლის გარდაცვალების შემდეგ, მათ მემკვიდრეებს მამა-პაპეული ქონება (მამული, სამკაულები და სხვა) გაუყვიათ, გარდა საეკლესიო ნივთებისა. მათ საეკლესიო ნივთებისათვის ხელის ხლება ვერ გაუბედავთ, რადგან მათში აზრი ყოფილა დამკვიდრებული, რომ ვინც ამ ნივთებს ადგილიდან დაძრავდა, უსათუოდ უბედურება დაემართებოდა და მოკვდებაო. ბევრი საეკლესიო ნივთი და წიგნი ამ დროს, უპატრონობით დაკარგულა. 1871 წელს, მღვდელ მათე სუხიევს უკისრია დარჩენილი ნივთებისა და ხელნაწერების წამოღება სოფელ ზემო ჭალაში, სადაც ეკლესიაში ინახებოდა შემდეგ.

ცოტა ხნის შემდეგ ჭალის ეკლესია ავაზაკებს გაუძარცავთ და უმეტესი ნაწილი ნივთებისა დაკარგულა.

ე. თაყაიშვილის თხოვნით, მ. სუხიევმა, ხელნაწერებისა და ნივთების წერითი ნაწილი ქმწკგს შეწირა. მაგრამ ყველაზე მნიშვნელოვანი პარხლის ხელნაწერი ისევ მასთან რჩებოდა დიდი ხნის მანძილზე.

1894 წელს, ექვთიმე თაყაიშვილი კვლავ ეწვია ზემო ჭალას ფოტოგრაფ დ. ერმაკოვთან და კალიგრაფ გ. ტატიშვილთან ერთად და ხელნაწერის ზოგიერთი ადგილი გადაიღო.

ხელნაწერის შემდგომ ბედზე პროფ. ზ. ჭუმბურიძე შემდეგს მოგვითხრობს: „მღვდელი სუხიაშვილი რომ გარდაიცვალა, ვიღაცამ, ვისაც ხელი მიუწვდებოდა საეკლესიო ნივთებზე, ისარგებლა შემთხვევით და უძვირფასესი ხელნაწერი გადამალა, რომ შემდეგ გაეყიდა და უსინდისოდ ხელი მოეთბო. ერთხანს პარხლის ოთხთავს უშედეგოდ ეძებდნენ.

1922 წელს ეს ხელნაწერი შეუძლევიათ შესაძენად გერმანიის კონსულისათვის თბილისში. კონსულს ხელნაწერის ღირსებისა და ღირებულების დასადგენად მიუტანია იგი თბილისის უნივერსიტეტის მუზეუმში. ამ დროს, შემთხვევით, იქ იმყოფებოდნენ თურმე პროფესორები კორნელი კეკელიძე და აკაკი შანიძე, რომლებმაც, რასაკვირველია, ადვილად იცნეს პარხლის ოთხთავი და კონსულს განუმარტეს, რომ კარგა ხანია, რაც ჩვენ თვითონ ვეძებთ მაგ ხელნაწერს, რომელიც სამეცნიერო ლიტერატურაში კარგად ცნობილი ძეგლიაო. ამის შემდეგ, კონსულს უხერხულად მიუჩნევია მისი შეძენა. პირი, რომელსაც განთქმული ოთხთავი თავისად მიაჩნდა, იძულებული გახდა, რომ ხელნაწერი უნივერსიტეტისათვის დაეთმო, – შენიშნავს აკაკი შანიძე.

უნივერსიტეტის ხელნაწერთა ფონდი შემდეგ შეუერთდა საეკლესიო მუზეუმისას და გადაეცა საქართველოს მუზეუმს, აქედან კი, როგორც ვიცით, შემდეგ ცალკე ჩამოყალიბდა ხელნაწერთა ინსტიტუტი. აქ არის დაცული ამჟამად პარხლის ოთხთავიც – 1453 ნომრად”.

საინტერესოა აგრეთვე **ღვთისმშობლის ვერცხლის კარედი ხატი**, რომელიც ანუკა ბატონიშვილის მზითვიდანაა. ანუკას მზითვის წიგნში მის შესახებ ნათქვამია: „ყოვლად წმიდის ხატი, მურასად მოჭედილი ექვსის იაგუნდითა, ექვსის ნიშაბერის ფირუზითა, სამის ხოშორის მარგალიტითა”.

ისევე, როგორც სხვა სიძველეები, ეს ხატიც შეისწავლა და გამოაქვეყნა ე. თაყაიშვილმა. (ე. თაყაიშვილი მას განიხილავს, როგორც ღვთისმშობლის კარედი ხატი, რადგან იგი (მაცხოვრის კარედი ხატი) მოთავსებულია ბუდეში, რომლის ზედაპირზეც ღვთისმშობლის ხატია მოთავსებული. მასზე უნდა იყოს საუბარი ანუკას მზითვის წიგნში: ყოვლად წმიდის ხატი, მურასად მოჭედილი იაგუნდითა, ექუსის ნიშარურის ფირუზითა, სამის ხოშორის მარგალიტითა”.

შემდგომში ხატი საზღვარგარეთ გაიტანეს და გამოჩენილი მკვლევარის, პროფესორ ვახტანგ ჯობაძის წყალობით გახდა ცნობილი მისი ადგილსამყოფელი. ვ. ჯობაძის პუბლიკაციის მიხედვით ხატი 1960 წლისათვის პისტბურგში /აშშ, პენსილვანია/, ეორგე ღ. ენნ-ის კოლექციაში ინახებოდა. მისივე ცნობით, 1944 წელს, იგი რუსული ხატების კოლექციასთან ერთად გამოფენილი ყოფილა აქვე.

აღნიშნული ხატი – ვერცხლის ბუდეში /19X14,5სმ/ ჩასვენებული კარედი ხატია (15X12,5სმ). იგი, როგორც ითქვა მზითვში გაატანეს ანუკა ბატონიშვილს, ვახტანგ VI-ის ასულს, როცა იგი ქვიშხეთელ ვახუშტი აბაშიძეს მიათხოვეს. თუ როდის და როგორ მოხვდა ხატი ვახტანგ VI-ის ოჯახში, ცნობილი არ არის, ირკვევა მხოლოდ ის, რომ ზემო ჭალის ეკლესიის მღვდელმა მათე სუხიაშვილმა იგი სხვა ნივთებთან ერთად 1871 წელს წამოიღო გორიდან ივანე აბაშიძის ოჯახიდან.

ე. თაყაიშვილის აღწერით, ღვთისმშობლის ვერცხლის კარედი ხატი მოთავსებულია ოთხკუთხა ბუდეში, რომლის ზედაპირზეც მოთავსებულია ღვთისმშობლის ოქროთი დაფერილი ხატი. „ზემო თავში,– წერს ე. თაყაიშვილი, – სისქეზე ეს ხატი იღება და იქიდგან შეგიძლიათ, ამოიღოთ მეორე ხატი, აგრეთვე ოთკუთხედი, მაგრამ ზემოთ მომრგვალებული... ეს ხატიც ვერცხლისაა, ოქროთ დაფერილი. პირველ გვერდზე გამოხატულია ორი სურათი: მარცხნივ წმინდა დიმიტრისა და მარჯვნივ წმინდა გიორგისა. შუაში ხატი იშლება და თქვენ თვალს წინ წარმოგიდგებათ მშვენიერი სურათი მაცხოვრისა, ხოლო გაშლილ კარებზე მარცხნივ გამოხატულია ღვთისმშობელი და მარჯვნივ იოვანე ნათლისმცემელი. უკანასკნელი სამი სურათი შემკობილია ძვირფასის თვლებით. ყველა წმინდანების სურათები გამობერვით ნაჭედი არის”.

კარედი ხატის დათარიღება ზუსტად ხერხდება მასზე არსებული წარწერებით. ერთი წარწერა კუბოს ზურგზეა, მეორე კი თვით კარედის ზურგზე. წარწერები ასომთავრულია და ერთი ხელითაა შესრულებული. პირველ წარწერაში ნათქვამია: „წმიდაო ღმერთო, მეოხ ექმენ ორთავე შინა ცხოვრებასა მამკობელსა და მადიდებელსა შენსა დადიანსა გიორგის და თანამეცხედრესა მისსა დედოფალსა თამარს და ძესა მათსა ლეონს, ამინ”. მეორე წარწერის შინაარსიც თითქმის იგივეა: „წმიდაო ქრისტე, შეიწყალე ორთავე შინა ცხოვრებასა დადიანი გიორგი და დედოფალი თამარ და ძე მათი ლეონ, რომლისა ბრძანებითა შეიმკო ხატი ესე მაცხოვრისა ამინ”. წარწერებში მოხსენებული გიორგი ოდიშის მთავარია – გიორგი III დადიანი 1572-1582 წლებში. მისი ვაჟი ლეონი 1577 წელს დაიბადა და გარდაიცვალა მამის სიკვდილის შემდეგ 1582 წელს. წარწერების მიხედვით კი მასში მოხსენებული ყველა პირი ცოცხალია

(“ქრისტე შეიწყალე ორთავე ცხოვრებასა”). ამდენად, დაასკვნის ე. თაყაიშვილი, რომ ხატი მოჭედილია 1577-1582 წლებში.

ბოლო ხანებში, ზემო ჭალის ხატი კარედის მხატვრულ-სტილისტური ანალიზი მოგვცა მკვლევარმა ხელოვნებათმცოდნე თ. საყვარელიძემ. იგი აღნიშნავს, რომ ზემო ჭალის ხატს ანალოგია მოეპოვება ზუგდიდის კარედი ხატის სახით და დაასკვნის, რომ ორივე ხატი ერთი და იგივე სახელოსნოდან მომდინარეობს. ამ მოსაზრებას, სხვა დეტალებთან ერთად, ადასტურებს ის გარემოებაც, რომ ორივე ხატი კარედი ერთი და იგივე პიროვნების ოდიშის მთავრის გიორგი III დადიანის დაკვეთით არის მოჭედილი.

თ. საყვარელიძე საკმაოდ ვრცლად განიხილავს ორივე ხატი კარედის მსგავსებას და აღნიშნავს, რომ „...ამ ძეგლებს ერთმანეთთან არა მარტო წარწერები აკავშირებს, მათ შორის დეკორის მხრივაც დიდი მსგავსებაა... ორივეგან აქ ნაწარმოების დეკორატიული გაწყობის ერთ მიდგომასთან გვაქვს საქმე. ისევე, როგორც ზუგდიდის კარედზე, ზემო ჭალის ხატზეც ფიგურები სრულიად გლუვ ფონზეა წარმოდგენილი, მკაფიოდ გამოცალკავებული მოცულობებით. ზემო ჭალის ხატზეც ძვირფასი თვლები შიგნით, კარედის შიდა სიბრტყეზეა დახვავებული, აქაც იმავე წესით – ფიგურების გარშემო შემოყოლებული, დიდი და პატარა თვლების მონაცვლეობით. იგივე ჩანს თვლების ჯიშიც (ანუკა ბატონიშვილის მზითვის წიგნშიც ხომ აღნიშნულია – იაგუნდი, ლალი, ფირუზი, ხოშორი, ე.ი. მომცრო მარგალიტი). იმდაგვარივეა თვლის ბუდეებიც (სხვადასხვა ფორმისა, სამი-ოთხი თათით). მაგრამ ეს კია, რომ ჭალის კარედზე თვლების სამკაული ბევრად უფრო თავმოუყრელია, მოუწესრიგებელი, უფრო უხეში (პირველ ყოვლისა, აქა-იქ ჩასმული, ზომაზე მეტად მსხვილი, თვლების გამო). ამ მხრივ, ზუგდიდის ხატი მეტი სიმწყობრით გამოირჩევა, უფრო გამართული და ორგანიზებული. მისი შემოქმედი (და ეს სხვა კომპონენტებშიც გამოსჩანს) უთუოდ, უფრო დახელოვნებული, უფრო დახვეწილი ოსტატია. ეს განსხვავება ფიგურათა დამუშავებაში იგრძნობა. მაგრამ აქაც, ამ ორი ძეგლის სკულპტურულ დეკორს შორისაც, მსგავსება-ნათესაობა ძალზე დიდია. განსაკუთრებით თვალსაჩინოა ეს მსგვსება კარედთა წინაპირზე. ორივეგან მეომარ-წმინდანთა გამოსახულებებია წარმოდგენილი. ჭალის კარედზე – დიმიტრი და გიორგი, ზუგდიდის კარედზე – დიმიტრი და თევდორე (რაკი წმ. გიორგი შიგნით, ცენტრალურ ხატზეა გამოსახული). ზემო ჭალის წყვილში რამდენადმე შეცვლილია პროპორციები – ფიგურები დამოკლებულია, უფრო ჯმუხი. არის ზოგიერთი იკონოგრაფიული სხვაობაც – ორივე წმინდანს აქ შუბი უპყრია ხელთ, ხოლო დიმიტრის მარცხენა ხელი ფარზეა დასვენებული (საკმაოდ უხერხულად). სხვა მხრივ, გამოსახულებათა ამ ორ წყვილს შორის აშკარა პარარელიზმია: ფიგურების დაყენება, მათი ერთმანეთისადმი მიმართება, ჩაცმულობა (აბჯარი, ტუნიკა, მოსასხამი, შარვალი, ფეხსამოსი – ყველაფერი ერთი ტიპისა), ყველაფერი, თითქმის, იდენტურად დამუშავებული. გამეორებულია, თითქმის, ყველა ელემენტი და დეტალი – კვანძი მკერდზე, მანჟეტების ორნამენტაცია, ვიწროდ შემოჭდობილი შარვლის ბადისებრი ნახატი, პუნსონით შესრულებული. ასევე, წმინდანთა თავები, თითქმის ზუსტად მეორდება ჭალის კარედზე ზუგდიდის ხატისეული დიმიტრის ტიპი. იგივე სიმეტრიულად დალაგებული, ქუდივით მომჯდარი ხუჭუჭა თმები, სახის იგივე ოვალი, იგივე მძლავრად მოხაზული, ძალზე დამახასიათებელი, ტალღოვანი წარბები, მსხვილი ცხვირი, გამოზიდული ყვრიმალის ძვლები. ოღონდ ყველაფერი ეს ჭალის ხატზე უფრო ტლანქია, მოუხეშავი, უფრო დამძიმებული. აღსანიშნავია კიდევ ერთი დეტალი. ზუგდიდის კარედზე წმინდანთა ფიგურებს თავზე ადგას ორნამენტით შემკული თაღოვანი ზედანი. ეს ელემენტი ჭალის ხატს არ გააჩნია. მაგრამ ზუსტად ასეთივე თავსართია გამოტანილი ხატის კუბოს წინაპირზე. იგივე გრეხილშემოვლებული სიბრტყე, იგივე რელიეფურად ნაჭედი მკაფიო ორნამენტი, ფაქტობრივად იმავე სტრუქტურისა (წრე და აქეთ-იქით ფოთლოვანი მოტივი) ოღონდ განსხვავებული ნახატით.

თ. ლაცაბიძე

(გაგრძელება იქნება)

- საბიბლიოთეკო კვირეული -

ნუცა ჩიტაძის ახალი წიგნის პრეზენტაცია

23 აპრილიდან ხაშურის მუნიციპალიტეტის საბიბლიოთეკო გაერთიანებაში საბიბლიოთეკო კვირეული მიმდინარეობს. კვირეულის ფარგლებში, კვირეულის გახსნის დღეს, ახალგაზრდა შემოქმედის - ნუცა ჩიტაძის ახალი წიგნის პრეზენტაცია გაიმართა.

"ზღაპრებიდან გადმოსული ფერია"-ასე უწოდეს ნუცა ჩიტაძეს. იგი 5 წლიდან წერს ლექსებს და საკმაოდ დიდ წარმატებასაც მიაღწია.

2016 წელს მას ქველმოქმედმა ქალბატონებმა დაუბეჭდეს ლექსების პირველი კრებული "მოვალ და მოგეფერები", შემდეგ კი მეორე ლექსების კრებული- "გაზაფხულის ყვავილობა".

გარდა იმისა, რომ ლექსებს წერს, პატარა მოცულობის მოთხრობებსა და ჩანაწერებსაც აკეთებს.

ნუცას ჩემოქმედებითი სამყარო მხოლოდ წერით არ შემოიფარგლება, ის ხატავს კიდეც. ნუცა არის ჯუმბერ ლეჟავას სახელობის აკადემიის წევრი და ნორჩი „ათინათელი".

ნუცას ახალი წიგნის („მადლმოფენა") პრეზენტაციას ესწრებოდნენ ხაშურის და ქარელის მაჟორიტარი ბიუროს თანამშრომლები და ნუცა ჩიტაძის მეგობრები.

ნუცას კრებულმა დიდი მოწონება დაიმსახურა დამსწრე საზოგადოებაში.

უბანი ხაშურში, რომელმაც საკუთარი ბრენდი შექმნა

ყველა ქალაქს თავისი ამბავი აქვს, ისტორია, რომელიც ქმნის, ავითარებს და სახელს აძლევს-ეს გამოარჩევს, ეს აძლევს მრავალფეროვნებას. ჰამაკი და ნაზუქი, ხაშურის „ცოცხალი," ისეთი ნიშაა, რომელსაც ასოციაციურად უკვე მოვყავართ ჩვენ ქალაქამდე, თუმცა, მხოლოდ

მათთან გაიგივებაც გვაბრაზებს და ვიწყებთ იმ ღირსებების და უპირატესობების ჩამოთვლასაც, რაც გვაქვს და თავსაც ვიწონებთ. ხალხს ასე ვახსოვართ, ინტუიციას აქეთ მოვყავართ და ტურისტებისთვისაც ერთგვარ ლოკაციას წარმოვადგენთ.

ხაშურში ერთი უბანია, რობაქიძის ჩიხი, ძალიან სახასიათო და საინტერესო, არც ნაზუქს აცხობენ და არც ჰამაკს წნავენ-ბეტონისგან ფილებს, კიბეებს და სხვადასხვა დასახელების ნივთებს აკეთებენ. მთელი უბანი ერთ სანახაობას წარმოადგენს და მეც კი, რომლისთვისაც არც პირველი შეხება არაა, ყოველ იქ მოხვედრის დროს, განსაკუთრებული ინტერესი მიპყრობს, საიდან დაიწყო, როგორ შეიქმნა, ვინ მოიფიქრა, ერთი ჩვეულებრივი უბანი, ძალიან სახასიათო და საინტერესო უბნად ექცია. მათთვის განსაკუთრებული ამ ამბავში არაფერია, არც ფიქრობენ და არც ჰგონიათ, რომ რამით გამოირჩევა მათი უბანი, უფრო მეტი შრომა და მტვერია. ყველა ეზოს წინ, მათი წარმოებული პროდუქციაა, ყველას თავისი ნიშა აქვს: ზოგი მხოლოდ ერთ სახეობას აწარმოებს, ზოგს მრავალფეროვანი წარმოება აქვს-ყველა ეზოში ფუსფუსი და შრომაა, ზოგგან უფრო მეტად, ზოგგან ნაკლებად-ცემენტს და სილას ზელენ და ყალიბებში ასხამენ. სანამ ტექნოლოგიაზე და სხვა საინტერესო ამბებზე გადავალთ, მწარმოებელ ოჯახებთან გასაუბრება ვცადე. ზოგმა ამირიდა, ზოგმა არ ისურვა საუბარი, ზოგმა ძალიან ღიად მიმასპინძლა, არც საუბარზე თქვა

უარი და არც ჩვენებურ მასპინძლობაზე. ამ უბნის "ინდუსტრიული" ისტორია კი ასე იწყება:

–39 წელია ამ საქმეში ვართ, პირველად ჩემმა მამამთილმა დაიწყო ამ საქმის კეთება და როგორც ხდება ხოლმე, შემდეგ უბნის საქმე გახდა. თავიდანვე და ახლაც კიბეებს ვაწარმოებთ. ძალიან შრომატევადი საქმეა, მტვრიანი, დიდ ძალისხმევას მოითხოვს, ჩემს მეუღლეს ჯანმრთელობის პრობლემები აქვს, საქმეს ძველებურად ვეღარ უძღვება, რაც წარმოებაზეც აისახა. ამჟამად მხოლოდ ერთი დამხმარე გვყავს. მიუხედავად იმის, რომ ტექნოლოგიები დაიხვეწა და გამარტივდა ჩვენი შრომაც, სხვა პრობლემებმა იჩინა თავი, ეპიდ. მდგომარეობა, მასალის სიძვირე, ძალიან აფერხებს ჩვენ საქმეს-ასე დაასრულა საუბარი ქალბატონმა, რომელიც თავიდან ძალიან დააფრთხო ჩვენმა სტუმრობამ.

თუ კარგი ამინდია, უბანში სულ ხმაურია, ყველგან რაღაც ხელსაწყოა ჩართული და ათასგვარი პროცესი მიმდინარეობს, ბეტონს ზელენ, ყალიბებში ასხამენ, აშრობენ, ამუშავებენ და ელოდებიან მყიდველს ან დამკვეთს. ეს ერთი შეხედვით ხმაურიანი პროცესი, ერთგვარი რიტუალია უბნის, ხმაურობ-ნიშნავს, კარგად ხარ, მზად ხარ ახალი დღისთვის და ბევრი საქმისთვის.

ბევრთან გამოლაპარაკება ვცადე, გადამამისამართეს მეორე მეზობელთან, მესამესთან, იმას უფრო მრავალფეროვანი წარმოება აქვს, აბა, მე მხოლოდ ერთი ხელოსანი მყავს, ბაზარზე მოთხოვნილებამ იკლო და ვეღარ ვმუშაობო-მაგრამ არ ჩერდებიან მაინც, მომავლის იმედის და ზოგისთვის ერთადერთი შემოსავლის წყაროს დაკარგვა, როგორი საქმეა? ზოგს ძალიან შეუყვარდა კიდეც, ეს რთული საქმე.

10 წელია ამ საქმეშია შალვა ჩიტაძის ოჯახიც, აკეთებენ წყაროებს, ეზოს მოსაპირკეთებელ, სხვადასხვა ფორმის, ზომის და მასალის ფილებს, კიბეებს, ყველაზე მრავალფეროვანი წარმოებით გამოირჩევა უბანში. შორიდანაც გამოარჩევთ მათ ეზოს, რომელიც ცალკე სანახაობას ქმნის. ჩემთვისაც კი, ძალიან საინტერესო პროცესი იყო, სხვაგან, რაღაც ტურისტულ ადგილას მეგონა თავი, სადაც ინდუსტრია ყვავის და ცემენტისგან ასეთ ნივთებს ქმნიან.

–ხუთი ადამიანი გვყავს დასაქმებული, მიუხედავად იმის, რომ ამ სიტუაციამ, ყველაზე და ყველაფერზე ნეგატიური გავლენა იქონია, ჩვენ წარმოება არ შეგვიჩერებია. რაღაც ეტაპზე გავჩერდით მხოლოდ და დავემორჩილეთ რეგულაციებს. ცნობადობა იმდენად დიდია უბნის, ჩვენი პროდუქციის გატანა არსად არ გვიწევს, მოდიან, შეკვეთას გვაძლევენ ან უკვე გამზადებული მასალა მიაქვთ. ბორჯომიდან, ბაკურიანიდან, თბილისიდან, გორიდან და სხვა ქალაქებიდანაც მოდიან დამკვეთები, ვემსახურებით მათი სურვილის გათვალისწინებით, ვის რა მასალის, დიზაინის და ფერის უნდა, ბოლომდე ვერგებით კლიენტის სურვილს.

და კლიენტის სურვილიც მრავალფეროვანია... შრომობენ და საკუთარ ქუჩას, ყველასგან განსხვავებულ სახელს არქმევენ, რომელზეც არც უფიქრიათ, ისე, უნებურად აქციეს ერთი ჩვეულებრივი უბანი, ყველასთვის ცნობად, ინდუსტრიულ ადგილად.

თ. ჯავახიშვილი

ყაზბეგის ქუჩის მონაკვეთს და მიმდებარე ტერიტორიას "საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისთვის დაღუპული მებრძოლების ხეივანი" ეწოდა

საქართველოს თავდაცვის ძალების 30 წლის იუბილესთან დაკავშირებით, თავდაცვის სამინისტროს მიერ დაგეგმილი კვირეულის ფარგლებში, ხაშურში საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისთვის, სამშვიდობო მისიებსა და სამსახურეობრივი მოვალეობის შესრულების დროს დაღუპული გმირების ხსოვნის პატივსაცემად ალ. ყაზბეგის ქუჩის მონაკვეთს და მიმდებარე ტერიტორიას „საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისთვის დაღუპული მებრძოლების ხეივანი" ეწოდა და სპეციალური დაფა განთავსდა.

ღონისძიებას თავდაცვის ძალების მეთაური, გენერალ-მაიორი გიორგი მათიაშვილი და მისი მოადგილე გენერალური შტაბის უფროსი, ბრიგადის გენერალი ჯონი ტატუნაშვილი დაესწრნენ. მემორიალურ დაფაზე აღნიშნულია ხაშურის მუნიციპალიტეტში მცხოვრები 50 გმირის გვარი, რომლებიც საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის წარმოებულ ბრძოლებში დაიღუპნენ.

ახალგაზრდა ხატმწერი, რომლის ნამუშევრებში ჩანს, რომ ხატწერა მართლაც ფერებითა და ხაზებით ქადაგებაა

პირველ ხატმწერად ლუკა მახარებელს მიიჩნევენ, რომელმაც ღვთისმშობლის ხატი (ოდიგიტრია) დაწერა. ხატწერის ხელოვნება, რომელიც ღვთისმეტყველებაში დაიბადა, მდიდრდებოდა საუკუნიდან საუკუნემდე. როგორც ეკლესიის დიდი მამები ამბობდნენ – გამოსახულება, ეს არის ქადაგება ფერებითა და ხაზებით, ეს არის ბიბლია უწიგნურთათვის.

დღეს ხაშურელი გოგონა გვინდა გაგაცნოთ, რომელიც სიყვარულით, სიმშვიდითა და ინტერესით წერს ხატებს. ლიზი თათაშვილი ხაშურში დაიბადა და გაიზარდა, 16 წლისაა, ხაშურის მე-9 საჯარო სკოლის მე-10 კლასის მოსწავლეა. მის ცხოვრებაში უდიდესი დრო და ადგილი ხატწერას ეთმობა. 2018 წლიდან დაკავებულია ამ საქმიანობით, მეოთხე წელია რაც ხატწერით დაინტერესდა. ხატწერის ხელოვნებას ხაშურში, პედაგოგ ირაკლი ლიჩელის ჯგუფში ეუფლება. რამდენიმე დღის წინ, ლიზიმ ხაშურის წმინდა ბარბარეს სახელობის ტაძარს საკუთარი ხელით დაწერილი წმინდა დავით აღმაშენებლის ხატი გადასცა. დავით აღმაშენებლამდე ლიზის კიდევ 6 ხატი აქვს დაწერილი. მათ შორისაა წმინდა გიორგის, მაცხოვრის, ღვისმშობლის, მთავარანგელოზი მიქაელის, წმინდა ნიკოლოზის ხატები...

-- ლიზი, რატომ დავით აღმაშენებელი?

-- წმინდა ბარბარეს ტაძრის მრევლმა და მოძღვარმა მამა პეტრემ თავად ისურვეს და მთხოვეს, რომ დავით აღმაშენებლის ხატი დამეწერა. ხატწერისას ვმუშაობდი ინდივიდუალურად, მეთვალყურეობას მიწევდა და რჩევებს მაძლევდა ჩემი პედაგოგი.

-- რამდენი ხნის განმავლობაში მუშაობდი ხატის წერაზე?

-- დავით აღმაშენებლის ხატის წერას 42 გაკვეთილი დასჭირდა. ვმუშაობდი 2-3 თვის განმავლობაში, კვირაში ორ დღეს საათნახევარს ვუთმობდი ხატის წერას და ტაძარს დასრულებული ხატი საჩუქრად ერთი კვირის წინ გადავეცი, სადაც შესაბამისი რიტუალთ აკურთხეს და დააბრძანეს სათანადო ადგილას. ხატმა მოწონება დაიმსახურა როგორც საერო, ისე სასულიერო პირებს შორის.

-- ამჟამად რომელ ხატს წერ?

-- ამჟამად მთავარანგელზ გაბრიელის ხატს ვწერ... მასალად ვიყენებ კვერცხის გულში გაზავებულ პერგამენტის საღებავებს. ხატწერისას გამოვიყენებ ძველ ტრადიციულ ტექნიკებს, ამგვარად დამზადებულ საღებავებს აქვს მეტი გამძლეობა. ცნობილია რომ ასეთი საღებავებით შესრულებული ხატები საუკუნეებს უმკლავდება. მთავარანგელოზ გაბრიელის ხატი ამ ეტაპისათვის დავაკონტურე და დავიწყებ უკვე ფერებით მუშაობას.

-- რამ გამოიწვია შენი ხატწერით დაინტერესება?

-- ვერ დავაკონკრეტებ რატომ... ზოგადად, ხატვა მიყვარს, კარგად გამომდის ეს საქმე და ერთხელ, როდესაც პატარა ბავშვმა ვნახე ქალაქში განთავსებული განცხადება, რომ იწყებოდა მოსწავლეთა მიღება ხატწერის ჯგუფში, დავინტერესდი ინფორმაციით, გადავწყვიტე ხატწერის შესწავლა, მივედი ჯგუფში და მას შემდეგ ვწერ ხატებს...

-- სხვა ნამუშევრები თუ გაქვს?..

-- როგორც აღვნიშნე ძალიან მიყვარს ხატვა და თავისუფალ დროს შინ ვხატავ, ძირითადად პორტრეტებს, მიყვარს ადამიანის სახეების ხატვა. ნამუშევრებს ვასრულებ ფანქრით, შავ ფერში. ხატვის დროს, ასევე, ძირებისთვის გამოვიყენებ ნახშირსაც. თუმცა ეს ნამუშევრები არის ჩემთვის, მათ არავინ იცნობს...

-- როგორ წარმოგიდგენია შენი მომავალი, ხატვას უკავშირებ?

-- დიახ, რა თქმა უნდა. მინდა, რომ პროფესიის შესწავლა გავაგრძელო სამხატვრო აკადემიაში ფერწერისა და ხატწერის მიმართულებით.

ამბობენ, რომ ხატმწერისთვის შთაგონებაც და მთავარი იარაღიც სულიერი სიმშვიდე და ლოცვაა. ლიზი თათაშვილთან საუბარიც კი სიმშვიდეს გძენს და სურვილს გიჩენს, რომ ეს გოგონა მომავალში ძალიან, ძალიან წარმატებული და შემდგარი პროფესიონალი გახდეს მისთვის საყვარელ საქმიანობაში.

თეა ახალკაცი

D საქართველოს პედაგოგთა და მეცნიერთა თავისუფალი პროფკავშირის ხაშურის რაიონული ორგანიზაცია, თავმჯდომარე ინეზა ელისაშვილი - იუწყება მე-5 საბავშვო ბაღის ყოფილი გამგის, განათლების ღვაწლმოსილი მუშაკის, მარიამ კონსტანტინოვის გარდაცვალებას და სამძიმარს უცხადებs ოჯახს.

ა(ა)იპ ხაშურის მუნიციპალიტეტის გაზეთი „ხაშურის მოამბე". დირექტორი გიორგი გოგალაძე,
მისამართი: ხაშური, ტაბიძის ქუჩა №2. ტელეფონი: 24 30 27.
E-mail Khashurismoambe2015@gmail.com მიმღების დასახელება: ხაზინის ერთიანი ანგარიში, საიდენტიფიკაციო კოდი 443860984, სახელმწიფო ხაზინა TRESGE22, სახაზინო კოდი: 749547499.
D-ით მონიშნული სტატია იბეჭდება დაკვეთით გაზეთი იბეჭდება თბილისში.